პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

# ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ

პირველ და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ყოველ დღიური ორგანო

—

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

—

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხელის მომწერთათვის 1 თვით—50 კ., 3 თვით—1 მ. 50. 6 თვით—2 მ. 50 კ. 12 თვით—5 მ.

წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა: 1 თვით—40 კ. 3 თვით—1 მ. 10 კ. 6 თვით—2 მ. ერთი წლით 3 მან. 80 კ.

განცხ. ფასი 1 გვ.—80 კ. სტრ. მე-4-ზე—40 კ.

106 (1101) | კვირა, 16 მაისი 1926 წ | 106 (1101)

## ამხკორების დამკვრელი ამოცანა.

საბანაკოთ გასვლა კარგა ნია დაიწყო. თითქმის ყველა აწილები გავიდენ საზაფხულო ადგომებზე. ამ მომენტს უდიესი მნიშვნელობა აქვს წითეი ჯარის მუშაობაში. ის, აც ახალგაზრდა მებრძოლებმა ისწავლეს ზამთრის პერიოდში ყაზარმის კედლებში, მათ რაქტიკულად უნდა გაიარონ არვობის დროს.

ამიტომაც წითელი ჯარის აზაფხულო სწავლება, მისი იღწევები, მისი სიძნელეები ართოდ უნდა იქმნას გაშუქებული ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

სამხკორებმა კიდევ უფრო ეტად უნდა გააძლიერონ თავისი კავშირი რედაქციასთან, ისტემატიურად უნდა მიაწოდონ მას კორესპონდენციები. ამწუხაროდ სამხკორების უმრავლესობამ ეს ანბანური ჭეშმარიტება დაივიწყა. როგორც კი დაიწყო ნაწილების საკარვოდ გასვლა, მაშინვე შეწყდა კორესპონდენციების დენა რედაქციაში. ამავე დროს ჯარის ბანაკში გადასვლის მომენტის გაშუქებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სამხკორმა დაწვრილებით და ფართოდ უნდა გააშუქოს ეს მომენტი. როგორ ემზადებოდა ნაწილი ბანაკში გასასვლელად, როგორ გავიდა, როგორ მოეწყო, რა გაკეთდა კარვობის პირველ დღეებში და სხვა—აი ის საპირბოროტო საკითხები, რომლებზედაც უნდა იწერებოდეს „წითელ-არმიელ“-ში. ჩვენი სამხკორები კი სდუმან.

არც ერთი მონაწერი იმის შესახებ, თუ როგორ ემზადებოდა ნაწილი საბანაკოთ, როგორ გავიდა და როგორ მოეწყო.

ეს უსათუოდ დიდი დანაკლისია სამხკორთა მუშაობაში, რაც დაუყონებლივ გამოსწორებულ უნდა იქმნას.

ერთხელ და სამუდამოთ უნდა შეიგნონ ჩვენმა სამხკორებმა, რომ თავისი მუშაობა მჭიდროთ უნდა დაუკავშირონ წითელი არმიის მთელ მუშაობას, არ უნდა ჩამორჩენ წითელი ჯარის ცხოვრებას. მაგალითად, ავიღოთ მეორე მნიშვნელოვანი მომენტი ჩვენი წითელი ჯარის სინამდვილეში. ეს—1903 წელში დაბადებულების მორიგ ტერშეკრებაზე გაწვევა. ეს მომენტიც ფართედ უნდა იქნას გაშუქებული ჩვენს გაზეთში. როგორ შეხვდა ნაწილი ახალწვეულებს, როგორი სულისკვეთებით მოვიდენ ისინი, რა ინტერესებს და სხვა. და ყოველივე ეს ახლავე, დაუყონებლივ უნდა გაშუქდეს, რომ გაზეთის ფურცლებზე გადიშალოს ტერშეკრების მთელი სურათი.

ამრიგად ჩვენი სამხკორების წინაშე სდგას დამკვრელი ამოცანა—დაუყონებლივ, დაუგვიანებლად მიაწოდონ რედაქციას წერილები იმის შესახებ თუ როგორ ეწყობა საბანაკო ცხოვრება და როგორ მიმდინარეობს ტერშეკრება.

სამხკორების ძირითად ამოცანას კი შეადგენს—არასდროს არ ჩამორჩენ წითელი ჯარის მუშაობას და ცხოვრებას და ყოველთვის დროზე გამოეხმაურონ მას ჩვენს გაზეთში.

## ბელადების გამცემლობის მწარე ნაყოფი.

ინგლისის მუშათა კლასის გაფიცვები მისი დამარცხებით დასრულდა. ბელადების საზიზღარმა გამცემლობამ გამარჯვება კვლავ ბურჟუაზიას არგუნა. დღევანდელი დეპეშები გადმოგვცემენ იმ სამარცხვინო ხელშეკრულებების შინაარსს, რომლებიც პროფკავშირებმა დასდვეს მწარმოებლებთან. ეს ხელშეკრულებები ახალი, უფრო მძიმე ბორკილებია ინგლისის მუშებისათვის. ამ ხელშეკრულებების წყალობით მუშები კარგავენ იმ უფლებებსაც, რომლებითაც ისინი გაფიცვამდე სარგებლობდენ. ავიღოთ თუნდა ხელშეკრულება, რომელიც დაიდო რკინისგზის კამპანიებსა და რკინისგზელების პროფკავშირებს შორის.

აი პირობებიც ამ ხელშეკრულების:

1) მუშები მიღებული იქნებიან სამსახურში, როგორც კი მათთვის აღმოჩნდება სამუშაო, 2) მიღება სწარმოებს სტაჟის მიხედვით, 3) პროფკავშირები სცნობენ, რომ მათი გაფიცვები არ იყო სწორი, 4) პროფკავშირები მოვალენი არიან მომავალში არ გამოაცხადონ გაფიცვა რკინისგზის კამპანიების დაუკითხავად და არ გამოაცხადონ სოლიდარობის გაფიცვა სხვა პროფკავშირებთან და სხვა. ამაზედ მეტი სამარცხვინო დამარცხება წარმოუდგენელია. ასეთივე კიდევ უფრო უარესი ხელშეკრულებები დასდვეს სხვა პროფკავშირებმა.

და ყოველივე ეს მოხდა შემთანხმებელ ბელადების წყალობით, რომლებმაც დაარღვიეს მუშათა კლასის მთლიანი რიგები, შეიტანეს მასში არევდარევა და ხელი შეუშალეს მუშებს გამარჯვებამდე მიეყვანათ დაწყებული საქმე. სასტიკად დამარცხდენ ინგლისის მუშები. მაგრამ ეს მძიმე გაკვეთილი მათთვის ტყუილად არ ჩაივლის.

გამცემლური ბელადების საქციელი მათ თვალს აუხელს ინგლისის პროლეტარიატი მუდამარცხებული იქნება, სანამ მის სათავეში მოღალატე მაკდონალდი, ტომასი, ჰენდერსონი და სხვა მათი ამყოლნი იქნებიან.

მათი წყალობით დამარცხდა მუშათა კლასი 1921 წელში, მათი წყალობით მარცხდება დღესაც.

განა მუშებს არ უნდა ბრძოლა, განა ისინი მტკიცედ არ იდგენ თავის ინტერესების სადარაჯოზე. ამას, მოწმობს თუნდ ერთ ერთი გაფიცული მუშის სიტყვები. რომელმაც სთქვა: „თუ ღენერალურ საბჭოს არ სურს ბრძოლა, გადგეს. ჩვენ დავაყენებთ ისეთ ღენერალურ საბჭოს, რომელსაც სურს ბრძოლაო“.

ამასში გამოხატულია მთელი ინგლისის მუშათა კლასის დღევანდელი განწყობილება.

ცხადია მაკდონალდები და ტომასები თავისი ნებით არ წავლენ, ისინი ერთგულად ემსახურებიან ბურჟუაზიას. საჭიროა, რომ თვით მუშათა კლასმა განდევნოს ისინი თავისი რიგებიდან, მოიცილოს რეფორმისტული ხორცმეტი, მტკიცედ შეამჭიდროვოს თავისი რიგები კომპარტიის გარშემო და მედგრად დახვდეს გათავხედებულ ბურჟუაზიას.

მხოლოდ ამ გზით გაიმარჯვებს ის და სამუდამოთ აიცილებს თავიდან ასეთ დამარცხებებს, რომელიც მას დაატყდა მოღალატე, შემთანხმებელ ბელადების წყალობით.

—ე.

# ახალი რადიო ამბები

## გაფიცვის მოხსნის შემდეგ ინგლისში

### გამყიდველ ბელადებმა სამარცხვინო ნაბიჯამდის მიიყვანა მუშები

რკინისგზის კავშირებსა და მეპატრონეებს შორის დაიდო შეთანხმება მუშების საზარალოდ

### ინგლისის ბურჟუაზიამ კვლავ აამუშავა ყალბი საბუთების ფაბრიკა

### გამყიდველ ბელადების წყალობით შეთანხმება კომპანიებსა და მუშათა კავშირებს შორის

#### სამარცხვინო შეთანხმება

რკინისგზის კომპანიებსა და რკინისგზის პროფკავშირებს შორის დადებულ იქნა შეთანხმება შემდეგ პირობებში:

მუშები მიღებულ იქნებიან უკანვე სამსახურში, როგორც კი აღმოჩნდება მათთვის სამუშაო; სამუშაოდ მიღება იწარმოებს სამსახურის სტაჟის მიხედვით; კავშირები შეცდომად სცნობენ გაფიცვის გამოცხადებას; კავშირები აღუთქვამენ, რომ არასდროს არ გამოაცხადებენ გაფიცვებს ისე, სანამ წინასწარ არ მოელაპარაკებიან რკინისგზის კომპანიებს და არ გამოაცხადებენ აგრეთვე სხვა კავშირებთან თანაგრძნობის გაფიცვას; კომპანიები თანახმა არიან არ დაუკლონ სამუშაო ხელფასი; ის პირები, რომელთაც ბრალად ედებათ იმ გამოსვლებში მონაწილეობა, რომლებიც არღვევენ დისციპლინას ან წარმოადგენს საბოტაჟს, უკანვე სამსახურში არ მიიღებიან.

არა ნაკლები სამარცხვინოა ლონდონის ტრამვაის კომპანიებსა და მუშა-მოსამსახურეებს შორის დადებული შეთანხმების პირობები. კავშირი შეცდომად სთვლის გაფიცვის გამოცხადებას. მუშები მიიღებიან უკანვე სამსახურში, მაგრამ კომპანიები ვალდებული არ არიან დააყენონ ისინი ძველ თანამდებობაზე. შტრეიკბრეხერები რჩებიან თავიანთ ადგილებზე; გაფიცვებში მონაწილე უმაღლეს თანამდებობის მოსამსახურეები და მუშები, რომლებსაც ბრალი ედებათ „ძალდატანებითი გამოსვლებში“, გადაეცემიან კომპანიებს.

თითქმის ასეთივეა მიწის ქვეშა რკინის გზისა და ავტომობილების კომპანიებთან შეთანხმებაც.

ზოგიერთ სხვა დარგის მუშებს ჯერ არ დაუდვიათ შეთანხმების პირობები, მაგრამ მოლაპარაკება გრძელდება.

## სამხედრო გადატრიალება პოლონეთში

### მინისტრები და მთავრობის მომხრეები დაპატიმრებული არიან

სკერნევიცასთან სწარმოებს ბრძოლა მთავრობისა და პილსუდსკის ჯარებს შორის

ვარშავა მოწყვეტილია. სიძვირე არაჩვეულებრივად იზრდება

### არევ-დარევა ძლიერდება



პილსუდსკი.

პილსუდსკის მდგომარეობა მტკიცდება. ძველი მთავრობა გაიქცა ვარშავიდან კალიშში და აპირებს პოზნანში გამაგრებას.

პილსუდსკიმ საგარეო საქმეთა საგანგებო კომისრად დანიშნა პოლონეთის ყოფილი საქმეთა რწმუნებული მოსკოვში.

სკვერნევიცასა და ვარშავას შორის რკინისგზა არ მუშაობს.

ხმების მიხედვით ლვოვის მახლობლად მოსალოდნელია სერიოზული ბრძოლები.

#### სად არის ძველი მთავრობა?

ხმებია, რომ პრემიერ მინისტრი ვიტოსი წაყვანილ იქნა ტყვედ პილსუდსკის ჯარების მიერ. პრეზიდენტ ვოიცეხოვსკი კი ისევ ბელვედერში იმყოფება. როგორც შემდეგი ცნობებიდან სჩანს, ბელვედერი დაიკავა პილსუდსკის ჯარებმა.

პოლონეთში არც ერთი გაზეთი არ გამოდის, გარდა პილსუდსკის ბიულეტენისა.

## მეპატრონეებმა დრო იხელთეს

მთავრობის ცნობებში ნათქვამია, რომ გაფიცულთა სამუშაოზე მიღების საკითხი ძნელდება არა მარტო იმის გამო, რომ მოხალისეთა ერთ ნაწილს, რომლებმაც შესცვალეს გაფიცულები, გადაწყვეტილი აქვთ დარჩენ სამუშაოზე; აქ მეპატრონეებიც წინააღმდეგი არიან მიიღონ უკანვე გაფიცვის ყველა მონაწილენი, ვინაიდან მოთხოვნილება მუშა ხელზე შემცირდა.

ეს საკითხი ირჩევა მეპატრონეებსა და მუშათა წარმომადგენლებს შორის.

## სამთა-მადნო მუშათა დელეგატების კონფერენცია

14 მაისს, სამთა-მადნო მუშების დელეგატთა კონფერენციამ მოიწონა სამთა-მადნო მუშათა კავშირის აღმასკომის პოზიცია და გამოსთქვა აზრი სამუშაო ხელფასის დაკლების წინააღმდეგ.

## კვლავ აამუშავეს ყალბი საბუთების ფაბრიკა

ბრიტანეთის მთავრობამ გაავრცელა ხმები, თითქოს კომინტერნის აღმასკომს გაეგზავნოს ინგლისის კომპარტიისთვის წერილი და დეპეშა, რომლებშიაც თითქოს კომინტერნი ურჩევდეს „რუსეთის რევოლიუციონურ მეთოდების გამოყენებას“.

კომინტერნის აღმასკომი აცხადებს ყველა პატიოსან მუშების საყურადღებოდ,—ნუ დაუჯერებენ ასეთ აშკარა ყალბ ხმებს.

## კომინტერნისა და პროფინტერნის მოწოდება

კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმმა და პროფინტერნის აღმასრულებელ ბიურომ დაადგინეს:

ვინაიდან ინგლისის სამთა-მადნო მუშათა დიდი გაფიცვა და მუშათა კლასის საგაფიცვო ბრძოლა გრძელდება, კომინტერნი და პროფინტერნი მოუწოდებს ყველა ქვეყნის მუშებს გააგრძელონ ფულის შეკრება გაფიცულებზე დასახმარებლად.

ამასთან ყველა ქვეყნის მუშები უნდა ეცადონ—ხელი შეუშალონ ინგლისში ქვანახშირის გაგზავნის საქმეს.

# სვანეთის ხალხს

### ძმებო და ამხანაგებო!

პირველად მოგიძღვნით მხურვალე სალამს, არ შემიძლია არ მოგილოცოთ დიდი საშვილიშვილო საქმის დაწყება: თქვენთან მოდის წითელარმიელების საპიორების (მესანგრეების) ერთი გუნდი (ბატალიონი), ისინი იგზავნებიან იმისათვის, რომ შეუდგენ სვანეთის გზის კეთებას. ამ გვარად მთელი სვანეთის სურვილი ხორციელდება. ეს დიდი ამბავია სვანეთის ცხოვრებაში. სვანეთის გზას ექნება ისტორიული მნიშვნელობა. მთელი სვანეთი აღტაცებით მიეგებება ამ საქმის დაწყებას. ის დღე, როცა წითელარმიელ-მესანგრეები შეუდგებიან მუშაობას, მთელი სვანეთისათვის საზეიმო დღე იქნება.

ამასთანავე სვანეთის ხალხმა უნდა იცოდეს, რომ წითელარმიელები უსასყიდლოთ ასრულებენ ამ მუშაობას. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ თუ ეს ასე არ მოხერხებულიყო, ისე მთავრობას წელს საშუალება არ ჰქონდა დაეწყო ამ გზის კეთება, თუმცა მას ეს გადაწყვეტილი ჰქონდა.

წითელარმიელები პირნათლად და პატიოსნად შეასრულებენ მთავრობის დავალებას. მაგრამ იმათი სიმხნევე, იმათი ენერგია ამ საქმეში თქვენზედაც არის დამოკიდებული. თქვენ უნდა შექმნათ მათთვის ისეთი პირობები, რომ მათ გაუადვილდეს მუშაობა, რაც თქვენთვის ასე საჭიროა.

საქართველოს მთავრობა დარწმუნებულია იმაში, რომ სვანეთის ხალხი, როგორც მას სჩვევია, ღირსეულად დაუხვდება მის ძვირფას სტუმრებს და ყოველგვარ ღონეს იხმარს, რომ წითელარმიელები გაამხნევონ და გაუადვილონ მათ მუშაობა.

გისურვებთ თქვენთან ერთად, რომ სვანეთის გზა ჩქარა დამთავრებულიყოს.

გაუმარჯოს სვანეთის მშრომელ გლეხობას.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას.

გაუმარჯოს წითელ ჯარს!

საქართველოს საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

თბილისი, 6 მაისი.

# გახსოვდეს ცვალებადელო:

### წითელი არმია სკოლაა, მაგრამ სკოლა სამხედრო.

### არმიის ძლიერება დისციპლინაშია.

ბევრს გაუგონია, რომ წითელი არმია სკოლაარ, მაგრამ ზოგიერთს კი ეს არ ესმის სწორად.

წითელი არმია სკოლაა, მაგრამ—სკოლა სამხედრო. არმიის მთავარი მეცნიერება სამხედრო საქმეა: მოქმედება მინდვრად, სროლა და სხვა. ამას ემატება პოლიტიკური მეცადინეობა, წერა-კითხვის სწავლა და სხვა, რათა წითელ არმიელი გამოვიდეს სავსებით შეგნებული რევოლიუციონერი მებრძოლი, შეეძლოს თავისუფლად რუქის კითხვა, დასმენის წაკითხვა, დაწერა და სხვა.

ზოგიც ფიქრობს, რომ არმიაში შეგიძლია მოიქცე ისე, როგორც მოგესურვება, ვინაიდან იქ უკვე აღარაა ძველი დისციპლინა. მართალია, მეფის დისციპლინი, როცა გავრცელებული იყო ცემა და გინება, წითელ არმიაში არ არის, მაგრამ არის უფრო სერიოზული, შეგნებული, რევოლიუციონური დისციპლინა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თვითეულ წითელ არმიელმა, თავისთავად, ძალდაუტანებლად უნდა დაიცვას წითელი არმიის ყველა წესები.

მეთაურების ბრძანება დაუყონებლივ, სისწორით და უსიტყვოდ უნდა სრულდებოდეს.

ის კი, ვინც შეგნებულად არ ასრულებს წესრიგსა და დისციპლინის მოთხოვნილებებს, —დაისჯება.

თვითეული ახალწვეული უნდა ცდილობდეს არ მოჰყვეს ასეთების სიაში.

# ცვალებადელთა შეკრება უკვე დაიწყო

### ცვალებადელო! ორ თვენახევარი არც იმდენი დიდი დროა, ხოლო სამუშაო კი ბევრი გაქვს.

უკვე დაიწყო 1903 წელში დაბადებულ ცვალებადელთა ტერიტორიალური შეკრება.

გასულ წელს ცვალებადელთა შეკრება 3 თვე გაგრძელდა, მასთან უკანასკნელი თვე ცვალებადლები სწავლობდენ ძველ ნამსახურ წითელ არმიელებთან—საერთო შეკრებებზე. ამ წელში კი შეკრება გაგრძელდება 2 ნახ. თვე. მასთან სამხედრო სწავლას ცვალებადელები გაივლიან ცალკე და საერთო შეკრებებზე არ მიიღებენ მონაწილეობას.

რა უნდა ისწავლოს ცვალებადელმა შეკრებაზე? პირველყოვლისა მან უნდა მიიღოს თვითეულ წითელ არმიელისთვის აუცილებელი საჭირო საერთო ცოდნა: ისწავლოს წითელ არმიელის უფლება და მოვალეობა, გაეცნოს წესდებებს, გაიაროს პოლიტიკური მომზადება, რაც საჭიროა საბჭოთა კავშირის შეგნებული მოქალაქისთვის, ისწავლოს საველე მოქმედება, შეტევა, მოგერიება, სროლა და სხვა—ცალკეულად, ათეულის, ოცეულისა და ასეულის შემადგენლობაში; კარგად გაეცნოს სამხედრო ქიმიურ, სასანგრო საქმეს; მიიღოს აუცილებელი საჭირო ცოდნა სანიტარულ საქმეში, ფიზიკურ მომზადებაში და სხვა და სხვა.

ყველა ეს ზემოაღნიშნული აუცილებელია წითელ არმიელისთვის. მაგრამ ყველაზე უმთავრესი და უფრო მნიშვნელოვანი ეს არის ტაქტიკური-სასროლო (მინდვრად) და პოლიტიკური მომზადება.

როგორც ვხედავთ მუშაობა სერიოზულია. ძირედი ნაწილების წითელ არმიელები ყოველივე ამას გადიან პირველი წლის განმავლობაში. ხოლო ცვალებადელმა უნდა გაიაროს 2 ნახ. თვეში.

რამოდენიმედ ცვალებადელეას შეუმსუბუქა სწავლება წინასწარ მუშაობამ სახლში, სოფლად და ქარხანაში—სამხედრო კუთხეებში. მაგრამ ეს საკმარისი არაა.

ძალიან უნდა მოვინდომოდ შეკრების განმავლობაში, არც ერთი წუთი არ უნდა დავკარგოდ ტყვილა-უბრალოდ და მხოლოდ მაშინ მივიღებთ აუცილებელ საჭირო ცოდნას.

ხოლო ეს ცოდნა კი ახალწვეულისთვის საჭიროა არა მარტო იმისთვის, რომ მხოლოდ თვითონ გამოვიდეს მცოდნე წითელ არმიელი; მას უნდა შეეძლოს აგრეთვე, სახლში დაბრუნების შემდეგ, უხელმძღვანელოს სამხედრო კუთხეს, სამხედრო ცოდნათა წრეს და გახდეს მოწინავე მოსახლეობის გასამხედროების საქმეში.

# სამხკორებო!

### გამოგზავნეთ წერილები შემდეგ თემებზე:

როგორ ჩატარდა ცვალებადელთა შეხვედრის მზადება; როგორი განწყობილებით მოვიდენ ცვალებადლები; რა გააკეთეთ თქვენ ამ შეკრებისთვის; როგორ შეხვდა ნაწილები ახალწვეულებს; რამდენად არიან ისინი მომზადებული სამხედრო დარგში; ემჩნევათ თუ არა მათ ნამუშევრობა სამხედრო ცოდნათა წრეებსა და სამხედრო კუთხეებში; როგორ ითვისებენ სამხედრო და პოლიტიკურ სწავლებას; რაში მდგომარეობს დაბრკოლებები და სხვა.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

### წითელი კურსანტები—ინგლისის მუშებს

### მე-6 ლეგიონის უმცროს მეთაურთა სკოლა.

10 მაისს შესდგა სკოლის უჯრედის გაერთიანებული ღია კრე[ბა]. კრების დღის წესრიგში სხვა საკითხებთან ერთად იდგა საკითხ[ი] ინგლისის გაფიცულ მუშების მდგომარეობის შესახებ. ამ საკითხ[ის] შესახებ მოკლე მოხსენება გააკეთა ამხ. კულიჯანოვმა. ამხანაგი ... ეხო იმას თუ როგორ უყურებს გაფიცვებს სხვა და სხვა ქვეყ[ნის] პროლეტარიატი და როგორ დახმარებას უწევენ მათ. მოხსენებ[ამ ძა]ლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ამხანაგებზე, რის შემდეგა[ც] თვით წ. არმიელთა შემადგენლობიდან წამოიჭრა საკითხი რა[თა] ჩვენს სკოლასაც გაეწია დახმარება ფულის სახით.

გამოდის ერთი წ. არმიელი, რომელმაც კარგად შეისწავ[ლა] წერა-კითხვა სახელდობრ, ამხ. ცირიკაშვილი და ამბობს, რომ ჩვ[ე]ნში მოკრეფილი კაპეიკები ბევრად ვერ წაადგება ინგლისის მუშა[თა] კლასს, მაგრამ ეს ჩვენი კაპეიკები მათთვის მილიონი ღირს. ეს ი[ქ]ნება იმის ნიშანი, რომ წითელი ჯარი, რომელიც შესდგება მუშ[ე]ბისაგან და გლეხებისაგან, ყოველთვის მზათ არის გაუწოდოს თავ[ი]სი მაზოლიანი ხელი იმ პროლეტარიატს, რომელიც სამკვდრო სას[i]ცოცხლო ბრძოლას აწარმოებს კაპიტალის წინააღმდეგ და მოუწო[]დებს ამხანაგებს რათა ყველამ მიიღოს მონაწილეობა დახმარებ[ის] საქმეში.

მქუხარე ტაშის ცემის ქვეშ გამოტანილი იქნა დადგენილებ[ა], რომ გადახდეს თითო კურსანტს 5 კაპეიკი.

ომერი.

# დისციპლინა და კომკავშირი

ამ რამოდენიმე დღის წინად ჩატარდა, ქუთაისში მყოფ, ქა[ რ]თულ ჯარის ნაწილების, უპარტიო წითელ არმიელთა მე-6 საგარ[]ნიზონო კონფერენცია, რომელმაც ჯამი გაუკეთა წარსულ კონფერე[]ნციიდან დღემდე, თავის ნამუშევარს და მრავალ მიღწევებთა[ნ] ერთად, მან დღის სინათლეზე გამოიტანა ის ნაკლულევანებანი, რო[]მელთაც ადგილი ჰქონდა განვლილი მუშაობის პერიოდში.

ამასთანავე ერთად კონფერენციამ გამოაშკარავა ერთი მთავა[]რი ნაკლი, რომელსაც უეჭველად უნდა მიექცეს მომავალში ყურა[]დღება და აუცილებლად გამოსწორდება. ეს არის ა. ლ. კ. კ. წევ[]რების მიერ დისციპლინის დარღვევა; კამათში გამოსული და ადგი[]ლებიდან მომხსენებელი ამხანაგები, მწუხარებით აღნიშნავდენ ასე[თ] მოვლენას; გამოირკვა რომ თუ უპარტიო წითელ არმიელები საშუა[]ლოდ 10 კაცამდე არღვევს დისციპლინას, კომკავშირელებს 15 უწევ[თ] ამავე დროს. რას გველაპარაკება ჩვენ ეს მოვლენა?

ჩვენს ა. ლ. კ. კ. წევრებს, ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ ის მო[]ვალეობა და მუშაობის მეთოდი, რომელიც ყოველდღიურად სდგა[]მის წინაშე და ვერ გრძნობენ თავს ორგვარ პასუხისმგებლობი[ს] ქვეშ. ერთია ის, რომ ასეთი ამხანაგები სცემენ პარტიის და ა. ლ. კ. კ. ავტორიტეტს უპარტიო ახალგაზრდობის თვალში, და მეორე—წითელი ჯარის ამოცანის წინაშე თავიდან იცილებენ პასუხისმგე[]ბლობას.

ის ფაქტი, რომ დისციპლინის დარღვევაში წინ ასწრებენ უპა[]რტიოებს ახკომკავშირის წევრები არ არის უყურადღებოთ დასა[]ტოვებელი. წითელი ჯარის აღმშენებლობა, ორგანიზაციულად გა[]ნმტკიცება, მასში ფოლადისებური დისციპლინის შეტანა, დამყარე[]ბულია ჩვენი პარტიის და ა. ლ. კ. კ. საღ და საქმიან მუშაობაზე.

პარტიული და ახკომკავშირელი ამხანაგები მაგალითის მაჩვე[]ნებელი უნდა იყოს უპარტიო მასისათვის ყოველგვარ საქმიანობაში[,] მით უმეტეს ეხლაა ეს საჭირო როდესაც ჩვენს რიგებს ემატება ახალი კადრი და საჭიროა მათთვის მოვალეობის შესრულებისათვის მაგალითის ჩვენება. ყველა ნაწილის ახკომკავშირის ჯგუფებმა და თვითეულმა ამხანაგმა მიზნათ უნდა დაისახოს, რომ მაგალითის მაჩვენებელი იქნეს ყველაფერში უპარტიო ამხანაგებისადმი როგორც დისციპლინის დაცვის ისე საერთო მუშაობის და აღმშენებლობის საქმეში. თითეული უპარტიო ახალგაზრდა დაინტერესებულია ა. ლ. კ. კ. წევრის საქმიანობით თუ რა როლს თამაშობს ის ნაწილში. ამიტომ ჩვენც უნდა ვიგრძნოთ ამ მხრივ პასუხისმგებლობა და მაგალითის მიმცემი ვიქნეთ მათთვის. ახკომკავშირის წევრებმა მტკიცედ უნდა მოვკიდოთ საქმეს ხელი და დაუყონებლივ გამოვასწოროთ შეცდომები. ეს ჩვენი მოვალეობათ უნდა გადაიქცს.

მ. ჭყონია.

# მე-3 ლეგ. მე-4 კომუჯრედის ცხოვრებიდან.

10 მაისს საღამოს ექვს საათზე, შესდგა მე-4 კომუჯრედის გაერთიანებული ღია კრება. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. წითელ ჯარში დისციპლინის შესახებ და 2. უპარტიო წითელ არმიელთა კონფერენციის შესახებ.

პირველი საკითხის შესახებ, მოხსენებით გამოვიდა ამხ. ქავდუა, რომელმაც ვრცლად გააშუქა საკითხი დისციპლინის შესახებ და აღნიშნა ის განსხვავება, რომელიც არსებობს ძველი და ახალ სამხედრო დისციპლინას შორის.

ამის შემდეგ, მეორე საკითხის შესახებ, მოხსენება გააკეთა ამხ. ხვიტიამ, რომლის მოხსენება დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი დამსწრე ამხანაგების მიერ.

მომხსენებელმა განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნა ის გარემოება, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც ჯარში უკანონოთ იწვევენ ზოგიერთ მოქალაქეებს და ამ ნაკლის გამოსასწორებლად კრებას, მომხსენებელმა განუმარტა ის დადგენილება, რომელიც გამოტანილი იქნა ამ კონფერენციის მიერ. მოხსენების დასრულების შემდეგ, იყო მრავალი შეკითხვები, რომელზედაც მომხსენებელმა გასცა სათანადო პასუხი. ამის შემდეგ კრება დაიხურა.

ოც. მეთაური ნ. გოცირიძე.

# განაკი და ჯანმრთელობა.

### გამოვიყენოთ მზის სხივები.

საბანაკო პერიოდი უკვე დაიწყო. ჩვენი ნაწილები თანდათან გადიან საზაფხულო საცხოვრებელ ადგილებში. დაიწყო ლაშქრობა და მოძრაობის დრო. თითეულმა უნდა იცოდეს, რომ ეს არის არა სამარი მომზადების, არამედ თითეული მეომრის ჯანმრთელობისათვის აღდგენის საუკეთესო დრო.

მზე, წყალი და ჰაერი—საუკეთესო ექიმია, საუკეთესო მეგობარია წითელ არმიელებისათვის. გაზაფხულის დასაწყისიდან ახალი გამოცოცხლებული ძალები იკალათებენ ადამიანში. მისი სხეული თავისთავად მოითხოვს სუფთა ჰაერს და თავისუფლებას. ჩვენი ტანსაცმელი, რაც არ უნდა სუფთა იყოს ის, ხელს უშლის ჰაერს თავისუფლად გაინავარდოს ჩვენს სხეულზე. გაფუჭებული—დამძიმებული ჰაერი ზამთრის ტანსაცმელის ქვეშ ნებას არ აძლევს ჩვენს სხეულს ხარბად ისუნთქოს.

ოფლი და შხამიანი—ორთქლილი ნივთიერებანი უხვათ იკალათებენ ჩვენი სხეულის კანის თითეულ ნაოჭში. სხეული თბილი ტანსაცმელის ქვეშ ეჩვევა სითბოს და ვერ ეწრთობა. მხოლოდ წყალი, ჰაერი და მზის სხივები ასუფთავებენ, აგრილებენ და აწრთობენ სხეულს და იცავენ მას ათასგვარ კანის სნეულებისა და გაციებისაგან.

მზე საუკეთესო სანიტარი და დეზინფიკატორია ბუნებაში. მილიონი მავნებელი ბაქტერიები იხოცებიან მისი სხივებით. ჩვენს სხეულში შესვლით კი მზის სხივები იწვევენ ახალ გამაცოცხლებელ ძალებს, ახალისებენ სისხლს და ყველა სასიცოცხლო ელემენტებს. მზისაგან დაწვა-გაშავება იმის ნიშანია, რომ ჩვენს სხეულსა და სისხლში ხდება მეტად ღრმა ცვლილებები და ამიტომ არის ის ესოდენ სასარგებლო.

### მზე, ჰაერი და წყალი—ძლიერი სამკურნალო საშუალებანია.

როგორც თითეულ ძლიერ წამალს, მათ ამასთანავე ერთად შეუძლიათ ზიანიც მოგვაყენონ. ამიტომ მათით სარგებლობაში ზომიერება და წლოვანების გიგიენას ცოდნა აუცილებელია.

რომ ბუნების ეს ძალები შესაფერად გამოვიყენოთ ჯანმრთელობის აღსადგენათ, საჭიროა პირველად შევეჩვიოთ მათ მოხმარებას.

რამდენი ამხანაგი გამხდარა ავად ამ ძალების მოხმარების გამო? ისინი არ იქცეოდენ ისე, როგორც საჭირო არის და იმიტომ

### უნდა დავიცვათ ზომიერება

როგორც ტანვარჯიშობასა და სპორტში, ისე ბუნების ამ ძალების მოხმარებასა და გამოყენებაში საჭიროა გაწვრთნა. ის ვინც პირველსავე დღეს მიიღებს მზის აბაზანას ერთ საათს, ის სერიოზულად შეიძლება გახდეს ავად და დიდი ზიანი მიაყენოს თავს. მზის ვანების მიღების დროს საჭიროა დავიწყოთ 5 წუთიდან და ასე თანდათან მოუმატოთ 1 საათამდე.

ასეთივე წესი უნდა იქნას დაცული წყალში ბანაობის დროს. (წყალში არ უნდა გავჩერდეთ, უნდა ვიმოძრაოთ, არ შეიძლება სადილის შემდეგ ბანაობა, არც მაშინ თუ ოდნავ ცუდათ გრძნობ თავს; თანდათან უნდა გაგრძელდეს წყალში ყოფნის დრო. უნდა გავიმშრალოთ კარგად ტანი და ვიცოდეთ როდის არის კარგი ბანაობა და რამდენ ხანს.

დადგა დრო, როდესაც თითეულ მეომარმა უნდა იზრუნოს თავისი საზაფხულო რეჟიმისა ჯანმრთელობის დისციპლინისათვის.

ექიმი ე—ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბანაკოთ გასვლის წინ

## ბანაკში მეტს გავაკეთებთ

მე-3 ლეგ. სკოლა

გასულ წელთან შედარებით ლეგიონის სკოლას დიდი მიღწევები აქვს, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ დარგში. სამხედრო საქმის შესწავლა წარმატებით მიმდინარეობს. კურსანტები კარგად ითვისებენ მეთაურების მიერ ახსნილს. ასევე ნაყოფიერად სწარმოებს პოლიტიკური სწავლებაც.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია კარგა ხანია დასრულდა. ამჟამად სკოლაში არ იმყოფება წერა-კითხვის არცერთი უცოდინარი.

საერთოდ კურსანტების კულტურული მოთხოვნილება სკოლაში თანდათან იზრდება. უმთავრესად ამას მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის ენერგიულ მუშაობამ შეუწყო ხელი.

ისინი ხშირად ატარებდენ ამ თემებზე საუბრებს კურსანტებთან და სათანადო ნაყოფიც გამოიღო.

მეცადინეობის ნაყოფიერება უფრო გაიზრდება ბანაკში გასვლის შემდეგ, რასაც ასე სიხარულით შეეგება მთელი სკოლა. გავლილის პრაქტიკულად გამეორების გარდა ჩვენ საშვალება გვექნება ადგილობრივ მცხოვრებლებთან დაახლოებით გავსინჯოთ ჩვენი ძალა კულტურულად და პოლიტიკურად მომზადებაში.

ადიშერ გაბარაშვილი

## ვემზადებით ბანაკში გასასვლელად

მე-2 ლეგ. ბატარეია

ჩვენს ბატარეიაში ენერგიულად მიმდინარეობს სამხედრო და პოლიტიკური მეცადინეობა.

უკანასკნელ ხანებში მთავარი ყურადღება ექცევა საბანაკოთ გასვლის პირობების და იქ ცხოვრების გათვალისწინებას. მეთაურები ამის გარშემო ატარებენ უმთავრესად საუბრებს.

ბატარეიის უფროსი დაწვრილებით აგვიწერს თუ როგორი წესით იწარმოებს ბანაკში გამგზავრებისას მოძრაობა, როგორ უნდა მოვიქცეთ და რას მივაქციოთ უმთავრესი ყურადღება.

გულდასმით ისმენენ საუბრებს 1903 წელში დაბადებული ამხანაგები, რომლებიც ჯერ კიდევ უჩვეულო არიან საბანაკო ცხოვრების.

მეორე მხრივ წითელ არმიელები მასიურად იმეორებენ ზამთრის განმავლობაში გავლილ საგნებს, რომ უფრო ადვილად შევსძლოთ ბანაკში მათი პრაქტიკულად გამოყენება.

მეთაურების აზრით ნაწილი იმდენად მომზადებულია, რომ წარმატებით შესძლებს შეასრულოს ბანაკში ყველა დავალებები.

შ. რევიშვილი.

## უკვე გავედით ბანაკში

1-ლი ლეგიონი

13 მაისს დილის 5 საათზე არაჩვეულებრივი მოძრაობა დაიწყო ლეგიონში. ყველა ნაწილები ალიჭურვენ საომარი წესით და დაიძრენ ლეგიონის ყაზარმიდან. დასტოვეს ზამთრის ბინა, რომ იქ შეძენილი ცოდნა თვალსაჩინოთ გამოიყენონ ველში მოქმედებისათვის.

ლეგიონში დატოვებული წითელ არმიელები შურით ადევნებდენ თვალს მიმავალ ამხანაგებს, შენატროდენ მათ ხვედრს დარჩენილი ათასეულის თავმა მოგვიყარა თავი და აგვიხსნა, თუ რა გვევალება ჩვენ ზაფხულის განმავლობაში და მოგვიწოდა პირნათლად შევასრულოთ ყველა დავალებები. ჩვენც ვეცდებით არ ჩამოვრჩეთ ბანაკში გასულ ამხანაგებს და ზედმიწევნით შევისწავლოთ ყველა ის, რასაც ისინი გაივლიან იქ ზაფხულში.

აქედანვე შეუდექით მუშაობას გულმოდგინეთ. მეთაურები ყოველ მხრივ გვიწყობენ ხელს ამისთვის.

წ. არმ. ობოლაძე.

## ბანაკში სათანადო მომზადებით გავდივართ

მე 2 ლეგ. 2 ათასეული.

ათასეული სისტემატიურად აწარმოებდა თეორიულ მეცადინეობას ზამთრის პერიოდში. კარგად შევითვისეთ სამხედრო საქმე.

გავეცანით ტაქტიკურ წყობას და სხვა, რომელიც პრაქტიკულად უნდა განვახორციელოდ ბანაკში ცხოვრების დროს.

ამასთანავე ათასეული ხშირად აწყობდა მანევრებს. გადიოდა ღამის და დღით მოძრაობის შესახებ ცნობებს და პრაქტიკულად ახორციელებდა მას. ამ მხრივ კარგათ ვართ გარკვეული. ვიცით მისი მნიშვნელობა და გამოყენება.

ადგილმდებარეობის გამოყენება ბრძოლის პირობებში საკმაოდ გვაქვს შესწავლილი. ხელმძღვანელები ამ მხრივ არ იშურებდენ თავის ცოდნასა და ენერგიას.

მალე ჩვენი ათასეული გავა ბანაკში. სალაშქრო მოძრაობისათვის მომზადებული ვართ ყოველმხრივ. მეთაურები ხშირად გვიხსნიდენ ასეთი მოძრაობის მნიშვნელობას და გვაწვდიდენ ყოველგვარ ცნობებს მისი წესიერად ჩატარების შესახებ.

ჩვენც დავამტკიცებთ სინამდვილეში თუ როგორ შევითვისეთ ყველა ეს საჭირო ცნობები.

მარინაშვ.

# ახალწვეულების მოლოდინში

## ჩვენი სამზადისი

მე 5 ლეგიონი.

მალე ჩვენი ნაწილის რიგებს ესტუმრებიან 1903 წელში დაბადებული ცვალებადელები, რომლებიც საერთო გამოწვევის დროს, ოჯახური პირობების გამო მიწერილი იქნენ ტერნაწილებზე.

ახალწვეული ცვალებადელები დაიწყებენ მოსვლას ჩვენს ყაზარმაში 15 მაისიდან.

ნაწილი დიდ სამზადისშია ამის გამო. ყაზარმაში ყველაფერი წესრიგში მოდის. კადრის წითელ არმიელებს აცნობენ თუ როგორ უნდა შეხვდენ მათ და შეუწყონ ხელი მათი მომზადების საქმეს.

წინასწარ შესდგა მათთან მუშაობის გეგმა. შექმნილი იქნა ჯგუფები მეთაურთა, წითელ არმიელთა შემადგენლობიდან და სკოლის კურსანტებისაგან, რომლებთანაც ტარდება მზადება პოლიტსაათისათვის.

სწარმოებს ჯგუფის თითეული წევრის გამოცდა, თუ როგორი მეთოდით გამოიყენებს პროგრამას და როგორ მიუდგება ახალწვეულებთან მუშაობას.

ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სკოლის კურსანტებს, რომლებიც დანაწილებული იქნებიან ახალწვეულებში სამუშაოდ და თან პრაქტიკას მისაღებად.

მ. ჭყონია.

## სამხ. დოლიძის კორესპონდენციის გამო

(6 ე ლეგიონის 3 ათასეული)

გაზ. „წითელი არმიელის“ № 1091-ში მოთავსებული იყო სამხკორ დოლიძის კორესპონდენცია ლეგ. 3 ათასეულის მიერ სოფლებში მოწყობილ სამხედრო კუთხეების მუშაობის შესახებ. სამწუხაროდ დოლიძეს ნაკლებად სცოდნია კუთხეებზე რამე, თორემ იმას აღარ იტყოდა თითქოს „სამხედრო კუთხეები ვერ აწარმოებენ, როგორც საჭიროა მუშაობას და წრეების ხელმძღვანელებს არ ქონდეთ ავტორიტეტი ფართო მასაში და ვერც ათასეული უწევს მას საჭირო ხელმძღვანელობას და მრავალი სხვა“.

სიმართლის აღდგენისათვის საჭიროა ითქვას:

3 ათასეულმა გახსნა მახლობელ სოფლებში 21 სამხედრო კუთხე. დღემდე ათასეულის კუმუჯრედმა შესძლო თავისი აქტივის საშვალებით სამჯერ ჩაეტარებია საუბრები, ზოგან ოთხჯერაც. კომუჯრედმა გამოიმუშავა აგრეთვე ერთთვიური სამუშაო გეგმა და გადაუგზავნა სამხედრო კუთხეებთან არსებულ წრეებს, რომელსაც ატარებენ ცხოვრებაში შეძლებისდაგვარად.

მომავალი მუშაობისათვის კომუჯრედს გამოყოფილი ყავს აქტივი, რომელსაც დაავალა ყოველ ორ კვირაში ერთხელ ჩაატაროს საუბრები აღნიშნულ ადგილებზე.

ყველა ეს შევსძელით თვენახევრის განმავლობაში და მეტი გაკეთდება მომავალში, თუ რაიმე დამაბრკოლებელი მიზეზები არ გადაგვეღობა წინ.

მართალია კუთხეები ვერ არიან ტეხნიკურად მოწყობილი, მაგრამ ყველაფრის ერბაშად გაკეთება შეუძლებელია. ათასეული ამასაც დასძლევს ახლო მომავალში ადგილობრივი ხელისუფლებისა და სხვა ორგანოების დახმარებით.

ყველა ამით რომ დაინტერესებულიყო ამხანაგი და გასცნობოდა ჩვენს მუშაობას საფუძვლიანად, შეცდომაში არ შევიდოდა და არც რედაქციას და მკითხველებს შეიყვანდა შეცდომაში.

ურჩევ მომავალში მაინც დაიცვას ეს წესი.

დ.

## მოვაწყვეთ ბანაკი

2 ლეგ. 9 ასეული

ჩვენს ასეულს დავალებული ჰქონდა ლეგიონისათვის ბანაკის მოწყობა.

ამისთვის ასეული წინასწარ იქნა გაგზავნილი საბანაკოთ თავმოყრის ადგილზე და შეუდექით სამზადისს. ასეულის არმიელები გულმოდგინეთ ეკიდებოდენ მუშაობას. დავალებული საქმეების გაკეთებისათვის ერთმანეთს ეჯიბრებოდენ და ყოველთვის ხალისიანად გადიოდენ სამუშაოდ. სწორედ ამიტომ შევსძელით დროზე მივესწრო ბანაკის მოწყობა.

ყველაფერი მოყვანილია წესრიგში. მოსწორებულია დასაბანაკებელი ადგილი. მარტო ნაწილის მოსვლა და კარვების დადგმაა საჭირო.

წითელ არმიელები ამაყად ელოდებიან ლეგიონს, რომ ასე მალე შესძლეს დავალებული საქმის პირნათლად შესრულება.

ალ. სვანიშვილი.

## ასეულის უფროსის სამნეო ფუნქციებიდან განთავისუფლება.

(დასასრული)

შესაძლებელია ასეულების უფროსები განიცდიან დიდ სიძნელეს თვით სამნეო ფუნქციების ასრულებით კი არა, არამედ იმით, რომ მათი თანაშემწეები სამნეო დარგში, როგორიცაა—მამასახლისი, მეკუჭნავე და გადამწერი, ვერ არიან სათანადოთ საქმესთან გაცნობილი და დახელოვნებული პირები, რის გამოც მათ მაგიერ საქმის გაკეთება უხდება თვით ასეულის უფროსს, უკანასკნელნი კი რომ იყვნენ თავიანთ ალაგას, მაშინ ასეულის უფროსის ზედმეტად დატვირთვაზე სამნეო ფუნქციების ასრულებით—ლაპარაკიც კი არ იქნებოდა.

მაშასადამე ჩვენ მიერ მოყვანილ მოსაზრების შემდეგ შეიძლება გამოვიყვანოთ ასეთი დასკვნა—ასეულის თავის მუშაობის შესამცირებლად სამნეო დარგში საჭიროა:

გადაეცეს ასეულიდან ლეგიონის სამნეო ნაწილში სურსათით მომარაგება, ხოლო ფულით და სანივთო საგნებით მომარაგების საქმე კი უნდა ისევ დარჩეს ასეულებში (მხოლოდ ტერიტორიალურ ნაწილებში კი არა); ამასთან უნდა აუცილებლივ გაუმჯობესებულ იქმნას სამნეო მუშაკთა უმცროსი შემადგენლობა, რათა მუშაობის სიმძიმის ცენტრი ასეულის თავიდან გადატანილი იქმნას მათზე.

რაც შეეხება ტერიტორიალურ ნაწილებში, ასეულების უფროსების განთავისუფლება სანივთო და საფულე კმაყოფიდან, ხოლო საერთო შეკრების დროს კი არა, არამც თუ სასურველია, შესაძლებელიცაა. ამნაირ შემთხვევებში ლეგიონის სამნეო დარგს, ყოველივე სიძნელის გარეშე შეუძლიან დააკმაყოფილოს ერთეულის მუდმივი შემადგენლობა, როგორც ნივთებით, აგრეთვე ფულითაც, ცვალებად შემადგენლობის დაკმაყოფილება კი უნდა მოხდეს საერთო წესით ე. ი. ასეულების თავების საშუალებით.

ნ. შანშიაშვილი.

# 1 ქ. დ. ქუთაისის გარნიზონის უპარტიო წითელ არმიელთა მე-6 კონფერენცია

საბანაკო პერიოდში ხდება რამოდენიმე ნაწილის ერთად მუშაობა. დღევანდელი ტაქტიკა ცვლის საომარ იარაღებს. დღეს შეუძლებელი ხდება დივიზიის ნაწილების ერთად ბრძოლა, ვინაიდან სხვა და სხვა მდგომარეობის დროს მტერი გვათვალთვალებს; ამისათვის მთელი სიმძიმე უნდა იქნეს გადატანილი ღამით რის გამო ჩვენ ლაგერში გვოვიხდება ღამით მეცადინეობა.

ჩვენ ვიცით, რომ წარსულში ჯარის მოძრაობა ღამით ძნელი იყო. რომ შეცდომა არ დაუშვათ, ეხლა საჭიროა ამ მხრივ სათანადო მომზადება. ღამით მოქმედება უნდა იქნეს ამისათვის სათანადოთ გაუმჯობესებული. პირველია წითელ არმიელების მომზადება, მეორეც—მეთაურების მომზადება.

მანევრებზე თუ შევძლებთ მცირე ნაწილების გამოწვევას—ეს კარგი იქნება, მაგრამ ეს არ ხერხდება და უფრო ხშირია დიდი ნაწილების მოქმედება მანევრებზე, როგორიც არიან კორპუსი, დივიზია და სხვა.

მნიშვნელოვანია სროლის საქმე, რომელსაც ზამთრის პერიოდი ხელს უშლიდა. ეხლა კი ბანაკობის დროს ეს არ გაგვიჭირდება და ამას ჩვენ კარგად შევისწავლით. სროლასთან ერთად დიდ როლს თამაშობს ტაქტიკური მეცადინეობა. ძველ წითელ არმიელებისათვის ბანაკი იქნება უკანასკნელი გამოცდები მათი მომზადებისა.

მოხსენების ირგვლივ კონფერენციამ საჭიროდ სცნო, რათა გამოყოფილ იქნეს კომისია, რომელიც გამოიმუშავებს დირექტივებს, რომლითაც საშვალება მიეცემათ საშუალო განათლება მიღებულთ ჩააბარონ გამოცდები საშუალო მეთაურზე.

საბანაკო პერიოდში პოლიტიკურ მუშაობის ამოცანების შესახებ, მოხსენებას აკეთებს პოლიტგანყოფილების საორგანიზაციო ნაწილის უფროსი ამხ. სიმონგულოვი. მომხსენებელი ჩერდება დისციპლინის საკითხზე ჩვენ ნაწილებში, რომელშიაც შედარებით ძველთან ჩვენ მიღწევები გვაქვს უკანასკნელ ხანებში. ყველა ის შეცდომები დისციპლინის დარგში, რაც ამ კონფერენციაზე გამოაშკარავდა ჩვენ უნდა გამოვასწოროთ მომავალში. სალაგერო პერიოდის დროს ჩვენ უნდა მოვემზადოთ როგორც სამხედრო ისეც პოლიტიკურათ. შვებულებაში წამსვლელმა წითელ არმიელმა უნდა შეისწავლოს ის, თუ რა ამოცანები სდგას მის წინაშე სოფელში დაბრუნების შემდეგ. ჩვენთან ერთად ლაგერში იქნებიან აგრეთვე რუსული ნაწილები, რისთვისაც საჭიროებს მათთან კავშირი, მათი გამოცდილების მოსახმარებლად ჩვენ მუშაობაში.

ჩვენმა პარტორგანიზაციამ უნ და გააბას კავშირი სოფელთან, რა მიმართულებით ჩვენ სალაგერო პერიოდში მეტი შესაძლებლობანი გვექნება მუშაობის გამოცოცხლებისათვის, ვიდრე საზამთრო პერიოდში. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს სოფელში უპარტიო მოსახლეობის შორის მე XIV პარტყრილობის დადგენილებების განმარტების საქმეს.

მთელმა პარტორგანიზაციამ მიზნათ უნდა დაისახოს დისციპლინის თავის დონეზე დაყენება.

კამათში მე-3 ლეგიონის წითელ-არმიელი ამხ. გაგუა მოითხოვს, რათა სასწრაფოთ იქნეს გადათარგმნილი წესდებები, რითაც ამაღლებული იქნება სამხედრო მომზადების დონე.

სამანდატო კომისიის მოხსენების შემდეგ კონფერენციის მიერ იქნა მიღებული რეზოლიუციები დღის „წესრიგში მდგომ ყველა საკითხების ირგვლივ, რის შემდეგ კონფერენციამ დაამთავრა თავისი მუშაობა.

რ.

## ᲛᲔᲢᲘ ᲡᲘᲡᲣᲤᲗᲐᲕᲔᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ

1-ლი არტლეგიონი

ლეგიონის ეზოში არის წყლის აუზი, რომელიც ვერ არის დაცული სუფთად.

წითელ არმიელები შიგ რეცხავენ ჭუჭყიან ფეხსაცმელებს და სხვა და სხვა ჭურჭლებს. ამავე დროს ცხენებს ასმევენ იქიდან წყალს და სხვა მხრივაც ისე ხმარობენ, რომ დაუშვებელია.

ნაწილის სანიტკომისია, დროა ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას და დაიცვას აუზში სისუფთავე.

წ. არმ. ქვიშიახეველი.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲔᲑᲘ.

### ᲩᲘᲜᲔᲗᲘ. ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ.

**მიწის დამუშავება—მეურნეობის საფუძველია.**

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის მრეწველობა უკანასკნელ ხანებში სწრაფი ნაბიჯით მიიწევს წინ, ჩინეთი დღემდე მაინც მიწის დამმუშავებელ ქვეყნად ითვლება. ჩინეთის მოსახლეობის 85% მიწას ამუშავებს.

ჩინეთიდან გატანილი საქონლის 73 პროცენტი სხვა და სხვა ქვეყნებში—სასოფლო სამეურნეო ნაწარმოებია. იმდენად დიდათ არის განვითარებული იქ მიწის დამუშავების საქმე, რომ მას არ სჭირდება სხვისი პური და სრულიად ყოფნის თავის მიწა-წყალზე მოყვანილი სურსათი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ჩინეთი ასაზრდოებს მთელი მსოფლიოს მოსახლეობის ერთ მეოთხედ ნაწილს.

### ᲩᲘᲜᲔᲗᲘ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲐ.

ჩინეთის მეურნეების ქონება არ აღემატება 1—2 დესეტინას. ზოგიერთ გლეხებს იმდენად მცირე მინდვრები აქვთ, რომ არ აღემატება ჩვენებურ ბოსტნებს.

ისეთი გლეხი, რომელსაც 3 დესეტინა მიწა აქვს და ამავე დროს ოჯახში 5—6 სული სარჩენი—მდიდარ გლეხად ითვლება ჩინეთში. მსხვილი მემამულეები ჩინეთში იშვიათად არის.

მაგრამ კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად უკანასკნელად თანდათან ფეხს იკიდებს მსხვილი მიწადმფლობელობაც.

უფრო მდიდარი მემამულეები ყიდულობენ წვრილი მეზობლებისაგან მიწებს, ხოლო უკანასკნელნი იძულებული არიან ან მოჯამაგირედ დადგენ და ან ქალაქებში ეძიონ სამუშაო.

უმიწაწყლო გლეხობა უმთავრესად მრავლად არიან სამხრეთ და შუა ჩინეთში. მანჯურიაში კი მაგალითად აუარება ნოყიერი ადგილებია, რომელსაც ჯერ კიდევ არ მიჰკარებია ადამიანის ხელი.

უმიწოწყლო გლეხები ათასობით მიეშურებიან იქით და ამით აიხსნება, რომ მანჯურიაში მცხოვრებთა რიცხვი ზღაპრული სისწრაფით იზრდება.

## ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

### სამხედრო სამსახურში გაწვევის ვადის გაგრძელება სოფლის მასწავლებლებს.

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა პირველ საფეხურის სოფლის სკოლებისა, შვიდწლედის და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებლებისათვის დააწესა ჯარში გაწვევის ვადის გაგრძელება, სანამ ისინი ითვლებიან აღნიშნულ სკოლების მასწავლებლებად.

### სამხედრო მოსამსახურეების დაბეგვრის შესახებ.

საბჭოთა კავშირის ფინანსთა კომისარიატი განმარტავს, რომ სამხედრო მოსამსახურეებს თუ ისინი სამხედრო უწყების გარდა, სხვა წყაროებიდანაც ღებულობენ შემოსავალს, საშემოსავლო გადასახადი მაინც არ ხდებათ. თითეული სამხედრო მოსამსახურე ასეთ შემთხვევაში განთავისუფლებულია ხსენებული დაბეგვრისაგან.

სამხედრო მოსამსახურეებზე უნდა გავრცელდეს ყველა ის შეღავათები, რომლებიც დაწესებული იქნენ საბჭოთა კავშირის ცაკისა და კომისართა საბჭოს დადგენილების 4 და 5 მუხლებში.

### სამხედრო სკოლებში საკონკურსო მიღებისათვის.

სამხედრო სკოლების სამმართველომ დაგზავნა ინსტრუქციები სკოლებში საკონკურსო მიღების შესახებ. კანდიდატთა მთელი რიცხვი დაიყოფა ორ ჯგუფად: 1. მუშურ-გლეხური წ. არმიის ნაწილებიდან მოვლენილები და 2. სამოქალაქო ორგანიზაციებიდან მოვლენილები და თავის სურვილით გამოცხადებულები.

კონკურსი იწარმოებს ცალცალკე თითეული ჯგუფისათვის იმ ანგარიშით, რომ თავისუფალ ადგილების საერთო რიცხვი განაწილდეს ერთგვარი შეფარდებით ორივე ჯგუფებს შორის.

სამხედრო მოსამსახურეების შვილები და ხარჯზე მყოფი პირები სარგებლობენ დანარჩენ შემთხვევაში უპირატესობით, რომ მიღებული იქნენ ყველა სამხედრო და სამხედრო პოლიტიკურ სკოლებში.

## ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲔᲑᲨᲘ

### ᲖᲐᲠᲑᲐᲖᲜᲔᲑᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ.

მსოფლიო ომის დაწყებამდე ყველა ქვეყნებში რამოდენი ასეული ზარბაზანი თუ იქნებოდა.

ომის დროს ზარბაზნების დამზადება იზრდებოდა ზღაპრული სისწრაფით. მზადდებოდა ათი ათასობით ახალი ზარბაზნები, მაგალითად გერმანიაში ომამდე ითვლებოდა 600 ზარბაზანი, ხოლო ამ ჟამად მის განკარგულებაშია 54.000 ზარბაზანი. საფრანგეთს ამ ჟამად 12.000 ზარბაზანი აქვს. ასევე არის ინგლისშიც. ამას გარდა ინგლისის მრეწველობა იმყოფება სამობილიზაციო პირობებში, ე. ი. ყოველ წუთში შეუძლია გადავიდეს სამხედრო იარაღების მზადებაზე.

### ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ინგლისის სამხედრო სამინისტროს ქიმიური იარაღი ერთ საუკეთესო საშვალებად მიაჩნია ომის შემთხვევაში. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ის გარემოება, რომ ინგლისის სამინისტრო აუარება თანხებს ხარჯავს სამხედრო ქიმიურ მრეწველობის აღორძინებისათვის. 1925 წელს ამ მიზნით საგამომძიებლო სამუშაოებისათვის ინგლისის მთავრობამ დახარჯა 1.200.000 მანეთი.

### ᲙᲕᲐᲛᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲛᲔᲮᲔᲑᲘ ᲨᲔᲜᲘᲦᲑᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ამერიკაში არსებობს ერთი არსენალი (ედჯვუდის), რომელიც სპეციალურად ამუშავებს ქიმიურ-მომშხამავ ნივთიერებებს არსენალში დამზადებული იქნა ახალი საშვალება—კვამლით შენიღბვა შეტევაზე გადასულ ნაწილებისათვის, ტანკების, თვითმფრინავების და საზღვაო ძალებისათვის.

არსენალმა დაამზადა ერთგვარი აპარატი, რომელსაც სურვილისამებრ შეუძლია გაუშვას კვამლის დიდი რაოდენობა. აპარატი რომელსაც სახელად უწოდეს „კვამლის ქვემეხი“ შეიძლება თავისუფლად მოთავსდეს ტანკაზე, ჰაეროპლანზე და გემებზედაც.

ასეთი კვამლის ქვემეხები კარგა ხანია შემოიღეს ამერიკის არიაში, მაგრამ ისინი თავისი მოცულობით მეტის მეტად დიდები იყვნენ.

ახალი კვამლის ქვემეხები შედარებით ძლიერ მცირე მოცულობის არიან და გაცილებით უფრო მეტი რაოდენობით უშვებენ კვამლს.

ერთ ტანკას, რომელზედაც მოთავსებული იქნება კვამლის ქვემეხი, შეეძლება სრულიად დაჰფაროს მოწინააღმდეგის მხედველობიდან ტანკების მთელი ასეული.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲘᲛᲘᲐᲨᲘ

### ᲰᲐᲔᲠᲝᲞᲚᲐᲜᲘ ᲨᲝᲠᲘ ᲤᲠᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

მიუნხენში (გერმანიაში) აგებულ იქნა ახალი ჰაეროპლანი შორი ფრენისთვის. „კონდორი“ (ასე ეწოდება ჰაეროპლანს) მთლიანად აგებულია ლითონისაგან; მას აქვს სიმენსის ოთხი მოტორი ას-ასი ცხენის ძალისა თვითეული. აჰყავს 8 მგზავრი, 4 პილოტი და ორი მექანიკოსი“ „კონდორი“ საუცხოვოდ მუშაობს ორი მოტორით 120 ვერსის გარბენით ის უკვე შორდება მიწას.

### ᲞᲐᲠᲐᲨᲣᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ

ამას წინად ამერიკელ მფრინავ კონრადმა მოახდინა ცდა პარაშუტზე (ქოლგა ჰაეროპლანებიდან ძირს დასაშვებად), რომ დაემტკიცებია ამ პარაშუტის საიმედოობა, კონრადი დაეშვა ჰაეროპლანიდან ახვეული თვალებით და შეკრული ხელ-ფეხით—1.600 მეტრის სიმაღლეზე და მშვიდობიანად შეასრულა გამოცდა.

### ᲐᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲝ ᲜᲘᲚᲐᲑᲘ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ

ჰრილობა თავში არ აძლევს დაჰრილს საშუალებას გამოიყენოს ჩვეულებრივი აირის საწინააღმდეგო ნიღაბი. ეს გარემოება გათვალისწინებულ იქნა გერმანიის არმიაში და დამზადებულ იქნა სპეციალური აირის საწინააღმდეგო ნიღაბი.

ნიღაბი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნილებებს:

1) უნდა იცავდეს არა ნაკლებ ჩვეულებრივზე.

2) შეიძლებოდეს მისი ჩამოცმა ჰრილობა შეხვეულ თავზე, იმ შემთხვევაშიც, როცა დაჰრილი გონება დაკარგულია.

3) ერთი ზომის ნიღაბი მოერგოს ყოველ ზომის თავს.

ამ გვარივე ნიღაბის დამზადება გაითვალისწინა ამერიკამაც, მაგრამ ის უფრო გაუმჯობესებული სახისაა.

ერთად-ერთი მისი ნაკლი ისაა, რომ ასეთ ნიღაბში ზაფხულობით მეტად ცხელა. მაგრამ ეს მხედველობაში არ უნდა იქნას მიღებული, ვინაიდან დაჰრილი დარჩება ნიღაბში მანამ, სანამ მას არ გამოიყვანენ აირით მოწამლულ რაიონიდან.

### ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲔᲚᲡᲛᲔᲜᲘ.

ცხენოსანი ლეგიონის ბანაკად გასვლის შემდეგ, ნაწილში დარჩენილ წითელ არმიელებს საშვალება აღარ აქვთ ისარგებლონ ელსმენით, რადგან ცენტრმა შესწყვიტა ხაზი. ნაწილი მეტათ უხერხულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი. რაიმე უბრალო საქმისათვის წასვლა გვიხდება სხვა და სხვა ნაწილებში.

საჭიროა ზომები მიიღოს ვისგანაც ჯერ არს და მოაგვარონ ეს საქმე.

კახიძე.

## ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲮᲜᲘᲙᲐ

### ტანკებით ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ.

საფრანგეთში ამზადებენ ახალ ექსპედიციას ჩრდილოეთის პოლიუსის გამოკვლევის მიზნით. ექსპედიცია მიემგზავრება არა ჰაეროპლანებით ან გემებით, არამედ ისეთი სისტემის ტანკებით, რომლებსაც შეუძლიათ წყალზე ცურვაცა და ხმელეთზე—ყინულზე მოძრაობაც.

ექსპედიცია გაემგზავრება რამოდენიმე კვირის შემდეგ. მის სათავეში სდგას პოლიარული ქვეყნების ცნობილი მკლევარი—მეზღვარი სალი. ექსპედიციის შემადგენლობაში შედიან ცნობილი ფრანგი მეცნიერები. ეს კამპანია დაჯდება რამოდენიმე მილიონი მანეთი.

ტანკები შეიარაღებული არიან მბობლავი მოძრაობისათვის საჭირო მოწყობილობით. მათი მოძრაობის სიჩქარე უდრის საათში 18—24 კილომეტრამდე. თითეული ტანკა იწონის 10 ტონას (1 ტონაში 61 ფუთია).

ამას გარდა ტანკებს შეუძლიათ აგრეთვე წაიღონ გიდროპლანები (მფრინავი და წყალზე მცურავი აპარატები) საგამოკვლევო მუშაობის წარმოების მიზნით.

საფრანგეთიდან ტანკები გადატანილი იქნებიან გემებით კუნძულ შპიცბერგენზე. იქიდან კი ტანკები თვითვე გაემგზავრებიან ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ.

### ᲐᲛᲮ. ᲐᲛᲮ. ᲬᲘᲗᲔᲚᲐᲠᲛᲘᲔᲚᲔᲑᲝ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔᲗ, ᲓᲐ ᲒᲐᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲗᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ“

## ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲡᲐᲛᲮᲙᲝᲠᲔᲑᲡ

ჭარეიშვილს თქვენი კორესპონდენცია—პასუხის-პასუხი არ დაიბეჭდება. ამის შესახებ ვსწყვეტთ წერილების მოთავსებას.

მ. ჭყონიას (5 ლეგ.) წერილი „დეკრეტალური შვებულების შესახებ“ არ დაიბეჭდება. ამის შესახებ იცის ათასეულის მეთაურმა, თუ ვინ, როდის და რად გაუშვას შვებულებაში.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე 2 ქ. მსრ. ლეგიონის მე-8 კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ 5 კაცს.

1. კოსტა ძველაიას (გლეხი. მიწის მუშა სენაკის მაზრის სოფელი სეფიეთის მცხოვრები).

2. ბიქტორ წიქორიძეს (გლეხი. მიწის მუშა. ქუთაისის მაზრის სოფელ მე-2 ფერსატის მცხოვრები).

3. თარიმან მათეშვილს (გლეხი. მიწის მუშა. სიღნაღის მაზრა სოფელი ბოდბისხევის მცხოვრები).

4. ალექსანდრე ბარნაბიშვილი (გლეხი. მიწის მუშა. სიღნაღის მაზრის სოფელ კელმეჩურის მცხოვრები).

5. თედო კოჭლამაზაშვილი (გლეხი. მიწის მუშა. სიღნაღის მაზრის სოფელ ბოდბეში მცხოვრები).

გთხოვთ გვაცნობოდ ერთი კვირის განმავლობაში თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ მათი მიღების შესახებ.


## ᲠᲐ ᲦᲘᲠᲡ „ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის


ნ. დ. ს. ყ. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.